ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2017 წლის 21 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20, 25-ე მუხლების და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

განისაზღვროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ – ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №38 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 20/11/2014, 190040000.35.171.016038).

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **ნინო გოგუაძე**

დანართი №1

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობა	2150
კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	1500
ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობა	1500

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული

პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობების დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1		**საკრებულოს აპარატი**	6	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი **აპარატის უფროსი**	1	1400
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში**	1	750
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **კომპიუტერული უზრუნველყოფის, ვებგვერდის ადმინისტრირებისა და ინფორმაციის მართვის, საჯარო ინფორმაციის საკითხებში**	1	750
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში**	1	750
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – **საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში**	1	750
	IV რანგი	საჯარო დაწესებულების მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი – **საორგანიზაციო საკითხებში**	1	650
2		**შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები**	3	
		საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	850
		მდივან-რეფერენტი	1	420
		მძღოლი	1	650
ს უ ლ				
საერთო ჯამი			9	